პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | სამშაბათი, 26 მაისი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 115 (813) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## დაიცავი სამხედრო საიდუმლოება.

წითელ-არმიელის და ყოვე-...ვე სამხედრო მომუშავის ...თ-ერთს საპასუხისმგებლო ...ლდებულებათაგანს შეადგენს ...ხედრო საიდუმლოების და-...ვა. მტერი მუდამ სცდილობს ...ენი შეიარაღებულ ძალების ...ოდენობის რიცხვის და საბ-...ძოლო უნარის გაგებას.

როგორც მშვიდობიან, ისე ...მიანობის დროსაც ის ყოვე-...გვარ საშუალებას მიმართავს, ...ომ ამ მხრივ საჭირო ცნობები ...მოვოს. ამიტომაც ყოველი სამ-...დრო პირს და წითელ-არმი-...ლს სასტიკად ევალება დაი-...ვან, როგორც თავისი ნაწი-...ის, ისე მთელი წითელი არ-...ის სამხედრო საიდუმლოება.

ჩვენმა წითელ-არმიელებმა ...ერთოდ იციან ამ თავისი მო-...ლეობის შესახებ. მაგრამ ხში-...ად ყოველდღიურ ცხოვრება-...ი ზოგიერთ წინ დაუხედავ ...ითელ-არმიელს ავიწყდება ის ...ა სრულიად უნებურ-ით კერ-...ო საუბარში ან მოკლე ვადიან ...ვებულების ოროს ან და ქა-...აქში სეირნობისას ამჟღავნებს ...ს, რაც სამხედრო საიდუმ-...ოებას შეადგენს.

რასაკვირველია, ამით ასეთი ...ითელ-არმიელი ღალატობს ...ითელ არმიას, მუშურ-გლეხურ ...ლისუფლებას და მთელ მშრ-...მელთა ხალხს. მტერი მუდამ ...ოდარაჯებულია. ის ათასნაირ ...შვალებებით შეეცდება გაი-...ოს ჩვენი სამხედრო საიდუმ-ლოება. ხშირად იქვსაც ვერ აიღებ მასზე ისე მოგიახლოვდება და დაგიწყებს ტკბილ საუბარს.

ამიტომაც წითელ-არმიელს ამ მხრივ დიდი სიფრთხილე და სიფხიზლე მართებს.

მუდამ წინდახედული უნდა იყო საუბარში და არას დროს არ უნდა დაივიწყო შენი საპასუხისმგებლო ვალდებულება სამხედრო საიდუმლოების დაცვის შესახებ.

განსაკუთრებით მაშინ, როცა უცნობ პირს ელაპარაკები. აქ თითეულ წითელ-არმიელს ერთგვარი უნდობლობა და იშვიათი სიმტკიცე უნდა ახასიათებდეს.

სამხედრო საიდუმლოების დაცვას აქედანვე უნდა შეეჩვიონ ჩვენი წითელ-არმიელები, ვინაიდან ომის დროს ამ მხრივ პატარა შეცდომის დაშვებაც დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ჩვენთვის.

ყოველივე ზემო ნათქვამი ერთ წუთსაც არ უნდა დაივიწყონ ჩვენ წითელ-არმიელებმა და თავისი ეს დიდი მოვალეობა ღირსეულად უნდა გაატარონ ცხოვრებაში.

დე! იცოდეს მტერმა, რომ სადაც საჭიროა ჩვენ შეგვიძლია გაჩუმებაც და ენაზე კბილების დაჭერა.

წითელ-არმიელო, მტკიცედ დაიცავი სამხედრო საიდუმლოება!

## ...ონამ კიდევ ერთხელ დაადასტუ-...ა თავისი ერთგულება ბატონისადმი.

...ამ დღეებში ადგილი ქონდა ...ვსტრიის საგარეო მინისტრ ...ტაის თავხედურ გამოსვლას ...ბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ...ტაია მეტად უხეში და დაუ-...ვებელი სიტყვებით შეეხო სა-...ჭოთა კავშირში არსებულ ხე-...ლისუფლებას და მის წარმომა-...გენლობას საზღვარ გარეთ. ...ა ეს მას შემდეგ, რაც ავს-...რიამ უკვე გვიცნო და ოფი-...ციალური დიპლომატიური ურ-...იერთობანი დამყარდენ ჩვენ ...ა მის შორის.

ცხადია საბჭოთა მთავრობამ ...მ წამსვე გაუგზავნა საპროტე-...ტო ნოტა ავსტრიის მთავრო-...ბას, სადაც გაკიცხა მინისტრ ...ტაის უხეში გამოსვლა. საე-...თოდ საბჭოთა კავშირის წი-...ააღმდეგ გალაშქრებამ ევრო-...ის ბურჟუაზიულ მთავრობების ...ხრივ ამ ბოლო ხანებში ფარ-თო და სისტემატიური ხასიათი მიიღო. ამ საერთო გამოსვლისათვის ცხადია მხარი უნდა დაეჭირა ანტანტის მონასაც ბურჟუაზიულ ავსტრიას.

მართლადაც რას წარმოადგენს ვერსალის ხელშეკრულების შემდეგ ავსტრია?

ევროპის მსხვილი იმპერიალისტურ სახელმწიფოების ყურმოჭრილ მონას. ავსტრია სავსებით ხელშებორკილია ანტანტის მიერ. თითეული მისი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი შიგნით თუ გარეთ ნაკარნახევი არის ანტანტის მიერ. ავსტრიაში მბრძანებლობს არა ავსტრიის მთავრობა, არამედ ერთა ლიგის მიერ იქ დანიშნული ღენერალური კომისარი.

ამრიგად ამ გამოსვლით ავსტრიის მთავრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ერთგულება ანტანტის წინაშე. სულმდაბალ მონამ კიდევ ერთხელ ემთხვია თავისი პირსისხლიანი პატრონის კალთებს.

საბრალო ავსტრიის მთავრობა! რაც უნდა ბევრი არ გვლანძღოს და იყვიროს ჩვენს წინააღმდეგ, ის მაინც ვერას გახდება. მისმა ბატონებმა ვერაფერი ვერ გაიტანეს ჩვენთან, თორემ მას რა შეუძლია.

თავისი თავხედური გამოსვლით ავსტრია ავნებს თავის თავს და არა ჩვენ.

საბჭოთა ხელისუფლება ნებას არ მისცემს არავის მის შინაურ საქმეებში ჩარევის და მით უმეტეს ევროპის რეაქციის ისეთ ჟანდარმს, როგორც ავსტრიის ხელისუფლებაა.

—ძ.

# ახალი რადიო-ამბები

## ამხ. კარახანის ნოტა ჩინეთის მთავრობისადმი.

### სპეკულიაცია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის ხარჯზე.

უპასუხისმგებლო მოქმედება.

მანჯურიის სამხედრო ძალთა მტრული მოქმედების გამო აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ, ამხ. კარახანმა ორი საპროტესტო ნოტა გაუგზავნა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს.

პირველ-ნოტაში აღნიშნულია ის სპეკულიაცია, რომელსაც ეწევა ჩინეთის სამხედრო ძალები კერძო ტვირთების გადატანაში სამხედრო ბარგის სახით. ნოტა აღნიშნავს, რომ მოკლე დროში 1918-1924 წ.) ასეთი სპეკულიაციის გამო ჩინეთის მთავრობას მართებს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის 12 მილიონი მანეთი. ასეთ მოქმედებას დიდი ზარალი მოაქვს როგორც რკინისგზის, ისე ჩინეთის მთავრობისთვის.

დასასრულ ნოტა მოითხოვს საქმის საჩქაროდ გამოძიებას და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას

მეორე ნოტა ეხება მანჯურიის ძალთა თვითნებობას რკინისგზის რაიონის მიწებზე. ნოტა აცხადებს, რომ ამ უბნებს თავს ესხმიან მანჯურიის შეიარაღებული ძალები და აიძულებენ მოიჯარადრეებს აძლიონ იჯარა ჩინეთის ხელისუფლებას და არა რკინის გზას.

ნოტა გამოსთქვამს პროტესტს და სთხოვს აცნობოს, თუ რა ზომებია მიღებული ასეთ უკანონო მოქმედებათო წინააღმდეგ.

## მატაის გამოსვლის სარჩული.

### ამხ. იოფფეს განცხადება.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ავსტრიის საგარეო მინისტრ მატაის ანტისაბჭოთა გამოსვლების გამო ამხ. იოფფემ განაცხადა:

„მატაის სიტყვა საინტერესოა იმით, რომ ის ნათლად ამჟღავნებს ავსტრიის შინაურ სისუსტეს საერთოდ და ავსტრიის მთავრობისას განსაკუთრებით.

მატაის სიტყვა არსებითად გასაგებია, ვინაიდან დღევანდელი ავსტრია არ შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, თუნდაც იმიტომ რომ, ლიგის გენერალურ კომისარის გარეშე დღევანდელ ავსტრიის მთავრობას ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეუძლია. ავსტრიის მთავრობას რათქმა უნდა, უნდა განეცხადებია თავისი პატრონებისათვის მორჩილება და, რომ ხმები კომუნისტური ცენტრის შესახებ ვენაში—ცილისწამება და შეშინებული ფანტაზიის ნაყოფიაო.

მე ვფიქრობ, რომ მატაის ასეთი განცხადება მიმართულია აგრეთვე ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგაც, რომელიც თუმცაღა ეკუთვნის მეორესა და არა მესამე ინტერნაციონალს, მაგრამ მაინც აფიქრებს მატასა და მის პოლიტიკურ მეგობრებს“.

## საბჭოთა კავშირის უფლებების რთული აღდგენა სახალინზე.

19 მაისს ალექსანდროვსკის ნავთ სადგურზე ჩამოხსნილ იქნა იაპონიის უკანასკნელი ფლაგი და აღმართულ იქნა საბჭოთა კავშირის ფლაგი. ჩრდილოეთ სახალინიდან გავიდა იაპონიის უკანასკნელი რაზმი.

მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა კავშირის უფლებების აღდგენას.

## მიწის ძვრა დასავლეთ იაპონიაში.

23 მაისს დილის თერთმეტ საათზე დასავლეთ იაპონიაში მოხდა ძლიერი მიწის ძვრა. თითქმის მთლიანად დაინგრა ქალაქი სომონოსეკი.

ოსაკუკობე და კიოტო შედარებით იოლად გამოვიდა. ამ ქალაქებს მიწის ძვრამ უმნიშვნელო ზიანი მიაყენა.

იტყობინებიან, რომ იკუნოში, სადაც მოიპოვება იაპონიის უმდიდრესი ვერცხლის მადნები, ბევრი მაღაროს მუშა დაიღუპა.

ტოკიოს მთავარი ობსერვატორიის ცნობით მიწის ძვრის ცენტრი იმყოფება ჩინეთში—სრუტეში ვატაიამასა და ავაჯის კუნძულებს შორის.

ოსაკაში დაინგრა მრავალი სახლი და გაჩნდა ცეცხლი.

კობში გაიბზარა ბევრი დიდი სახლი.

დაინგრა აგრეთვე მრავალი სახლი. დიდია ადამიანის მსხვერპლი და მატერიალური ზარალი.

მოსახლეობა საშინელ შიშის ქვეშაა —ეშინიათ არ განმეორდეს 1923 წლის მიწის ძვრაო.

მთელ კუნძულზე ერთი ნაპირიდან მეორემდი ისმოდა მიწის ქვეშიდან გუგუნი. დღემდის მიღებულ ცნობით კინოსაკასა და ფუკიშ ამაში ადამიანის მსხვერპლი უდრის 18 მოკლულს და 80 დაჭრილს. ტოკიოს მსხვერპლი არ არის გამორკვეული, მაგრამ ის გაცილებით დიდი უნდა იყოს.

როგორც ამბობენ მიწის ძვრის სივრცე უდრის 29—30 მილს (140—210 ვერსი) ტოკიოს გარშემო.

მიწის ძვრის ტალღის მანძილი ეხლა გაცილებით მეტი იყო, ვინემ 1923 წელში. იოკოჰამაშიც საგრძნობი იყო მიწის ძვრა, მაგრამ განსაკუთრებული ზარალი არ მოუყენია. ტოკიოს ობსერვატორიაში გატყდა მიწის ძვრის მაჩვენებელი ისარი ბიძგისაგან.

## რუსეთ-პოლონეთის სავაჭრო საზოგადოების პროექტი.

პოლონეთის სეიმის წრეები დიდის ინტერესით აღნიშნავდენ ჩვენი წარმომადგენლის ვოიკოვისა და სეიმის თავმჯდომარის რატაის შეხვედრას.

ეს „ექსპრესს პორანნი„ იუწყება, რომ განზრახულია რუსეთ-პოლონეთის ვაჭრობის შეერთებული საზოგადოების შექმნა და რომ ვოიკოვმა უნდა მოამზადოს ექსკურსია მოსკოვში პოლონეთის მრეწველებისაგან. ვილნოს ვაჭრები შუამდგომლობით მიმართავენ პოლონეთის მთავრობას ჩარიცხონ ისინი ექსკურსიის შემადგენლობაში წარმომადგენლებად.

## მდგომარეობა მაროკოში.

„ტაიმსის“ ცნობით ესპანეთის ჯარების სარდლობა ელოდება განკარგულებას დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ რიფებთან. დროებითი ზავი, როგორც სჩანს, გამოწვეულია ესპანეთის საერთო სისუსტით.

„დეილი ნიუზი“ აღნიშნავს, რომ მაროკოს ომი ჯერ კიდევ არ დასრულებულა, ვინაიდან რიფები კვლავ დიდ აქტიურობას იჩენენ, ვინემ ამის შესახებ აცხადებენ მათი მოწინააღმდეგებიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანამედროვე პერიოდის მთავარი სახეები.

**ამხ. ზინოვიევის მოხსენება სრულ. საკავშ. საბჭოთა ყრილობის რკპ-ს ფრაქციაზე.**

ჩვენი პოლიტიკის შინაური და საგარეო საკითხები თანამედროვე გარემოებაში იმდენად არიან ერთიმეორესთან დაკავშირებული, რომ ერთი მეორეში გადადიან.

ეხლა უკვე სრულიად აშკარაა, რომ ყველა შინაპარტიული სადაო საკითხებს უკანასკნელ დროს შუქი მოჰფინა გლეხთა საკითხმა.

**ჩვენი პოლიტიკა დაკავშირებულია მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლის მდგომარეობასთან.**

ჩვენ ვიცით, რომ გლეხობასთან შეთანხმება იხსნის რუსეთის სოციალისტურ რევოლიუციას, სანამ არ მომხდარა რევოლიუცია სხვა ქვეყნებში.

ისეთი ქვეყანა, როგორიცაა ჩვენი წვრილი მიწადმოქმედების ქვეყანა, ჩვენ შეგვიძლია გავიმარჯვოთ მხოლოდ ორ პირობებში: 1) თავის დროზე დახმარებით სოციალურ რევოლიუციით ერთს ან რამოდენიმე მოწინავე ქვეყნებში, 2) გლეხობასთან შეთანხმება,

ამათგან ვერც ერთს ვერ შეუძლია ერთი-მეორის შეცვლა. სრული გამარჯვებისთვის საჭიროა ორივე.

პროლეტარი ამბობს: „თუ დაიგვიანა რევოლიუციამ საერთაშორისო მაშტაბით,—ეს იქნება ჩვენი კლასისთვის უბედურება. ამიტომ საჭიროა მეტი შეთანხმება გლეხობასთან, მეტი დათმობა გლეხობისადმი.

გლეხობა ჩვენი ნებაყოფლობით მოკავშირეა. ის არის (პროლეტარიატის შემდეგ) მეორე მნიშვნელოვანი კლასი სოციალიზმის გამარჯვებისთვის, არა მარტო ჩვენში, არამედ მსოფლიო მაშტაბით.

ასე რომ ჩვენ უნდა გვახსოვდეს ორი აუცილებელი პირობა რევოლიუციის გამარჯვებისათვის: პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება ერთს ან რამოდენიმე გადამწყვეტ ქვეყნებში და მუშათა კლასის მტკიცე შეთანხმება გლეხობასთან.

**ბურჟუაზია სცდილობს კავშირის გაწყვეტას მუშებსა და გლეხებს შორის. ჩვენ მტკიცედ დივიცავთ მას.**

საერთაშორისო პოლიტიკაში ჩვენ განვიცდით ეხლა ერთგვარ საშიშროებიან მომენტს. ჩვენ წავიკითხეთ ინგლისურ გაზეთებში, რომ ვითომც ინგლისი აპირობდეს ერთიანი ფრონტის შექმნას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შემდეგი ლოზუნგით: „განდევნეთ კომინტერნი მოსკოვიდან“. კომინტერნის აღმასკომი სრულებითაც არ არის გადასახლების წინააღმდეგი. რა საჭიროა მაინცა და მაინც მარტო მოსკოვში იჯდეს.

მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ კარგად უნდა დავიმახსოვროთ შემდეგი: საერთაშორისო კაპიტალი, აშკარაა, სცდილობს ზიანი მიაყენოს ჩვენს მუშებისა და გლეხების კავშირს. ნაწილობრ ამ მიზნითვე სწარმოებს ასეთი იერიში კომინტერნის წინააღმდეგ. იმპერიალისტებს სურთ გაავრცელონ რუსეთის გლეხობაში აზრი, რომ ახალი ომი მას—რუსის გლეხს მოელის „რაღაც“ კომინტერნის გამო. აი მათი მიზანი.

ჩვენი მეურნეობა ძლიერდება ყოველ მხრივ.

კიდევ 3—5 წელი და საბჭოთა კავშირი გახდება დაუძლეველი სახელმწიფო. ამიტომ ისინი ჩქარიან, ცოტა დრო დარჩენიათ.

კაპიტალისტური ქვეყანა განხეთქილია, იზრდება მასში ეკონომიური და პოლიტიკური წინააღმდეგობა. ჩვენ გვყავს მოკავშირე ყოველ ქვეყანაში.

ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ ეხლა, როცა ჩვენ ვაყენებთ პირველ რიგში მუშათა კლასს და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცების საკითხს, კაპიტალიზმი შეეცდება გასწყვიტოს ეს კავშირი კომინტერნზე იერიშების საშუალებით. ჩვენს გლეხს უნდა ესმოდეს, რომ ჩვენ არავითარ ომზე არ ვფიქრობთ, მაგრამ ჩვენ დავიცავთ მშვიდობიანობას როგორც თვალს.

**რა მიზეზითაა, რომ სოციალ-დემოკრატია ცოცხლობს?**

სოციალ-დემოკრატია ქვეყნების უმეტესობაში იმდენად შეეზარდა ბურჟუაზიულ წყობილებას, რომ ის სდგას და დაეცემა მხოლოდ მასთან ერთად. იმპერიალისტურ ომით გამოწვეულმა მუშათა დაღლილობამ საშუალება მისცა მათ გაევრცელებიათ ახალი „მშვიდობიანი“ რეფორმისტული აღთქმები.

სოციალ-დემოკრატია წინედაც და დღესაც ეყრდნობა რეფორმისტულ პროფკავშირებს, რომლებიც კონტრ-რევოლიუციონური გავლენის იარაღს წარმოადგენს მასებზე. ჩვენი დაბრკოლებების პერიოდი 1921—1923 წლებში სოციალ დემოკრატების ბელადებმა გამოიყენეს ჩვენ წინააღმდეგ, რათა დაეშინებიათ დაღლილი, ლუკმა პურს დანატრებული მუშათა მასები დიქტატურისა და სამოქალაქო ომისაგან.

აი ის მიზეზები, რომლითაც სცოცხლობს სოციალ-დემოკრატია და გავლენა აქვს ევროპის საშუალო მუშათა კლასზე.

**ჩვენი მთავარი ფრონტები.**

ჩვენ გვაქვს ორი მთავარი შინაური ფრონტი და ორი მთავარი საგარეო ფრონტები. შინაური ფრონტებია მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა. საგარეო ფრონტი-ეს არის დასავლეთი და აღმოსავლეთი. ჩვენი შეტევა მრეწველობის ფრონტზე სწრაფად მიდის წინ. სასოფლო მეურნეობის ფრონტზე ჩვენ ნაწილობრ ვიხევთ უკან, რათა ზურგს მოუაროთ მოწინააღმდეგე-კულაკს.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო პროფკავშირთა მუშაობის გამოცოცხლების საკითხს, პარტიის მუშაობის გაძლიერებას სოფლად და დასასრულ განაცხადა: „ჩვენ კარები უნდა გავუღოთ სოფლის საწარმოო ძალებს. ჩვენ კურსს ვიღებთ არა კულაკზე არამედ მთელ სოფელზე. ეს არის კურსი სოციალური მრეწველობისა, აღებული გლეხის ფართე მინდორზე. თუ ჩვენ—ამას დავანახვებთ სოფელს, ჩვენი პარტია, რომელიც ჯერ კიდევ სუსტია სოფლად, მტკიცე ფეხებზე დადგება“.

# სამხედრო საქმე.

## საბანაკო სწავლება.

**მოსახლეობიან პუნქტების გავლა მზვერავების მიერ.**

საზვერავად გაშვებულ განყოფილებას შეიძლება მოუხდეს გავლა მოსახლეობიან პუნქტზე (სოფელში ან ქალაში) რომელიც გასინჯულ უნდა იქნას. მოსახლეობიან პუნქტის დათვალიერება და გასინჯვა რთულ სამუშაოს წარმოადგენს მზვერავისთვის.

მოსახლეობიან პუნქტს მზვერავი უნდა მიუახლოვდეს რაც შეიძლება ფარულად და უსათუოდ უნდა ამოირჩიოს ისეთი სათვალთვალო წერტი, რომლიდანაც შეიძლებოდეს დანახვა, თუ რა კეთდება სოფელში. ამ სათვალთვალო წერტიდან გამორკვეულ უნდა იქნას: ჩვეულებრივი გზით მიდის თუ არა ცხოვრება სოფლად და არის თუ არა რაიმე ნიშანი, რომ ირღვეოდეს სოფლის ჩვეულებრივი წესრიგი.

თუ არ არის რაიმე საეჭვო ნიშანი, მზვერავი ასეული უნდა მიუახლოვდეს რომელიმე მახლობელ სახლს, გარს შემოერტყას და დაიკავოს ყველა კარები; შემდეგ უნდა გამოიწვიოს გარედ მცხოვრებნი და დაჰკითხოს (უმჯობესია დაკითხულ იქნას ორი კაცი ცალ-ცალკე).

თუ რომ მცხოვრებლები იტყვიან, რომ მოსახლეობიანი პუნქტი არ არის მტრის მიერ დაკავებულიო, მზვერავი ათეული წავა სოფლის განაპირა გზებით და თან მიჰყავთ სახლის მცხოვრებლები მძევლებად. მზვერავები ამ რიგად მივლენ შუა მოსახლეობიან პუნქტამდი სადაც კვლავ გამოსძებნიან ისეთ სახლს, სადაც იდგომება ვინმე ღარიბი მოსახლე (ღარიბი ჩვენი ახლო მეგობარია) და კვლივ გამოჰკითხავენ მას მტრის შესახებ.

ხშირად სასარგებლოა ღარიბი გლეხის მაგივრად წაიყვანო მძევლად ადგილობრივი „კულაკი“ ან მდიდარი.

მცხოვრებთა დაკითხვის დროს მზვერავები ფარულად უნდა მოქმედებდენ და არ უნდა ჩნდებოდენ მცხოვრებთა დაკითხვით გამორკვევის შემდეგ, რომ სოფელი თავისუფალია მტრისაგან, მზვერავი ათეული განაგრძობს წინსვლას და მუდამ მზადაა ბრძოლის შემთხვევისათვის.

მოსახლეობიან პუნქტში შესვლის დროს მეომრებმა არ უნდა გააბან მცხოვრებლებთან კერძო საუბარი, გარდა იმ ამხანაგეიისა, რომლებიც აწარმოებენ დაკითხვას.

მოსახლეობრიანი ადგილი მზვერავებმა ყოველთვის ჩქარა უნდა გაიარონ და დასაკითხავი პირები თან უნდა წაიყვანონ.

მზვერავი ათეულის უმთავრესი ნაწილი (ბირთვი) ყოველთვის მიდის შუა ქუჩით, დანარჩენი მზვერავები-პარალელ ქუჩებით; ამათ უჭირავთ ერთი მეორესთან მჭიდველობითი კავშირი გარდი-გარდმო ქუჩებში. პირდაპირ შუა ქუჩით მოძრაობა არ შეიძლება. უნდა მოძრაობდე ერთ-ერთი მხრიდან შენობების გასწვრივ და თვალ-ყურს უნდა ადევნებდე მეორე მხარეს.

მოსახლეობიან პუნქტიდან გასვლის წინ, მზვერავებმა კარგად უნდა დაათვალიერონ წინამდებარე ადგილები და შემდეგ უნდა განაგრძონ მოძრაობა.

ი. ბარ.

# სამხედრო ქიმია.

## გაზებისაგან თავდაცვა.

გაზებისაგან ქიმიურ თავდაცვის საშუალებას ეკუთვნის აგრეთვე ქიმიური დაზვერვა გაზებით თავდასხმის გამორკვევის მიზნით, ახალი გაზების დაჭერა გამოსარკვევად და ბოლოს „გაზისაგან აქტიური თავდაცვის საშუალება“. ცალკე ვითეულ სამხედრო ნაწილის მიერ მოწყობილ დაზვერვას მიზნად აქვს გამოარკვიოს მტრის მზადება გაზ-ან-ბალონებით თავდასხმისათვის. ჯარების მომზადების დროს მეომარს აცნობებენ ასეთ დაზვერვას და ასწავლიან თუ როგორ უნდა აწარმოოს ის. მაშასადამე ყოველ მეომარს უნდა ესმოდეს თუ როგორ სწარმოებს ეს დაზვერვა.

სულ სხვაა—გაზებით თავდასხმის განზრახვის წინასწარ გაგება. აქ ყველაფერი დამოკიდებულია არა იმაზე, თუ როგორი მომზადებულია მეომარი, არამედ მის პირად თვისებებზე როგორიცაა: მოსაზრება, მოხერხება, დაკვირვება.

დაკვირვებულ მეომრისთვის ბევრი იქნება ისეთი ნიშანი, რომლის მიხედვით მას შეუძლია შეუცდომლად სთქვას, რომ მტერი ემზადება ქიმიური, გაზებით თავდასხმისათვის. თუ თვალ ყურს ადევნებს ქარის ძალას, სიჩქარეს და მიმართულებას, დაკვირვებული მეომარა ადვილად შეატყობს წინასწარ გაზებით თავდასხმას. ძლიერი სიცივე, სითბო, ჰაერის სინოტივე ან წვიმა-ყველაფერი ეს სასარგებლო და ცოტად თუ ბევრად უტყუარი ნიშანია. შემჩნეული ზვერვა, გადაჯგუფება ან მოძრაობა მტრის ბანაკში ამტკიცებენ აგრეთვე იმას, რომ მტერი ემზადება გაზებით თავდასხმისათვის.

მტერზე წართმეული დიდ მნიშვნელოვანი ადგილიც უტყუარი მაჩვენებელია აგრეთვე იმისა რომ გადიზიანებული მტერი საჩქაროდ შეეცდება გაუმასპინძლდეს მეომრებს თავისი გაზით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს ადგილი ჩაღრმავებული, ტყიანი და გაზით თავდასხმისათვის ხელსაყრელია და თუ მასთან ამინდიც ხელს უწყობს. ყველა ასეთი ნიშნები მეომარმა უნდა გაითვალისწინოს და გამოიყენოს:

მეომრის მოვალეობაა აგრეთვე „დაიჭიროს“ მისთვის უცნობი გაზი, რომელიც მოულოდნელად იქნება გამოშვებული ფრონტზე. მართალია ეს არის სპეციალისტების ამოცანა, მაგრამ სპეციალისტს არ შეუძლია ყოველთვის დარჩეს ის, სადაც გამოჩნდება ახალი გაზი; ხოლო ამ გაზის დაჭერა და თავის ქიმიკოსებზე გადაცემა—განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა. თავის დროზე ამ გაზის დაჭერა ყოველთვის მოგცემს საშუალებას გაიგო, თუ როგორ უნდა გადაარჩინო მისგან რამდენიმე ასეულ ადამიანის სიცოცხლე. გაზის დაჭერის საშუალება მეტად ბევრია და ასეთები უნდა გაეცნოს მეომრებს მათი საბრძოლო მომზადების დროს. ჩვენ აღვნიშნავთ ამ საშუალებებსაც. ეხლა გადავიდეთ უკანასკნელ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან „თავდაცვის აქტიურ საშუალებაზე“.

ლ. ვორონოვი.

# ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფოები.

## ლატვია.

**ლატვიის ეკონომიური მდგომარეობა.**

ლატვია ჩაითვლება მიწადმოქმედების მხარეთ. ჯერ კიდევ ომამდე, ლატვიის ნახევარზე მეტი მოსახლეობა მიწის დამუშავებას მისდევდა, ომმა კი, რომელმაც მოშალა ქალაქის მრეწველობა, დიდათ შეუწყო ხელი ქალაქიდან სოფელში გადასახლებას, მიწა უმეტესად ვარგა თიბის და საძოვრისთვის, რაც ხელს უწყობს ამგვარივე სახის სოფლის მეურნეობის განვითარებას.

48 პროც. ვარგისი მიწისა ეკუთვნით მემამულეებს და მსხვილ მესაკუთრეებს. გლეხებს კი ხვდება ძლიერ მცირე ნაწილი. ლატვიას თავისი პური არ ყოფნის. 5-6-მილიონი ფ. პური მას ყოველწლიურად შემოაქვს. მესაქონლეობა ლატვიის სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ომამდე ის ყვაოდა: 100 კაცზე 122 თავი საქონელი ხვდებოდა. აქედან ხორციც მას საკმაოდ ქონდა და დიდძალი ყველი და ერბო გაქონდა საზღვარ-გარეთ.

ომამდე ლატვიაში 780 ქარხანა მუშაობდა, სადაც ითვლებოდა 94 ათასი მუშა ხელი.

ომმა და ქარხნების ევაკუაციამ (გადმოტანა) შიგა რუსეთში ჯერ მეფის მთავრობის მიერ, შემდეგ გერმანელების მხრივ შიგა გერმანიაში, არარაობაზე დაიყვანეს ლატვიის მრეწველობა და აქაური მუშათა კლასს ამის გამო წილად ხვდა უმუშევრობა და შიმშილობა. ამ ჟამად ლატვიაში მხოლოდ რამოდენიმე ქარხანა მუშაობს, სადაც დაბანდებულია 30.000 მუშა ხელი. ლატვიას დიდ სამსახურს უწევს საგარეო ვაჭრობა, უკეთ სატრანზიტ-საქონლის გატარება რუსეთისაკენ ან იქით. 30 პროც. რუსეთში შემოტანილ საქონლის გამოდის ლატვიით. საბჭოთა საქონლის ბრუნვა ლატვიის საქონლის საერთო ბრუნვაში უდრის 26 პროც. მხოლოდ 22 წელში ჩვენ მიერ გადახდილი თანხა რკინის გზის ფრახტის საფასურით უდრის ლატვიის გზათა სამინისტროს შემოსვლის 60 პროც. ლატვიის ფინანსების საქმე ძლიერ ცუდათაა. მას საკმაოდ დიდი ვალი აქვს საზღვარ-გარეთ. ბიუჯეტიც მუდამ დეფიციტით სრულდება. მთავრობა ფიქრობს გადასახადების საშუალებით ფინანსების მდგომარეობის გამოსწორებას, ან და ფულის ქაღალდით ნიშნების გამოშვებით, რითაც დღითი-დღე ეცემა ფულის ნიშნის ღირებულება. სიძვირე საათობით მატულობს, მუშათა კლასს არ აქვს საშუალება მას გაუძლოს და მისი ეკონომიური მდგომარეობა თან და თან უარესდება.

**მუშათა მოძრაობა.**

**ლატვიის კომუნისტური პარტია** ჩამოყალიბდა 1903—5 წ. წ. მან ბრწყინვალე როლი ითამაშა რევოლიუციონურ მოძრაობაში. 1917 წელში ლატვიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან (კომპარტიის მაშინდელი სახელწოდება) გამოირცხული იქმნა ოპორტიუნისტული ჯგუფი, რომელმაც მისცა დასაწყისი სოციალ-დემოკრატ-მენშევიკურ პარტიას. ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების დაცემის დროს კომპარტიის საშინელი რეპრესიები დაატყდა თავს ამ დროს მან დაჰკარგა ათი ათასი რევოლიუციონერი მუშა, მაგრამ ამით პარტია არ შემდრკალა. დღეს მის გავლენის ქვეშ იმყოფება პროფკავშირთა უმეტესობა. სცემს არალეგალურ ორგანოს „ბრძოლას“ და სხვა ლიტერატურას. მხოლოდ ბურჟუაზიულ ტერორის რკინის უღელი არ აძლევს ნებას ლატვიის პროლეტარიატს გამოსთქვას თავისი სიმპატიები კომპარტიისადმი.

**სოციალ—დემოკრატია,** რიცხვობრივ მცირე და თავის გავლენით სუსტი წინეთ, ტერორის დროს ძლიერ გაიზარდა, მაგრამ 22 წლის შემდეგ მას წევრებიც აკლდება და მისი გავლენა დღითი დღე მცირდება მუშათა კლასზე, რაც ნათლად სჩანს პროფმოძრაობაში.

**პროფმოძრაობა** აშკარა ორ ბანაკად ყალიბდება. მემარჯვენე, რომელიც ამსტერდამში შედის, იმყოფება სოციალ დემოკრატიის გავლენის ქვეშ. ეს ნაწილი შესდგება პატარა ქალაქების მუშების და სოფლის მუშათა კავშირებისაგან. მემარცხენე ნაწილი, რომელიც აშკარად ვერ დამდგარა კომპარტიის პლატფორმაზე ტერორის გამო, უმთავრესად შესდგება დიდი ქალაქის მუშათა კავშირებისაგან, როგ. ქ. რიგაა.

**არმია.**

იმპერიალისტურ ომის დროს მეფის მთავრობამ პირველად შექმნა ლატიშთა პოლკები. რუსეთის სამსახურში ითვლებოდა 182.000 ლატიშელი. მაგრამ ბურჟუაზიულ რესპუბლიკის გამოცხადების დროს მათ არ გააჩნდათ ჯარი, რადგან აღნიშნული პოლკები გადავიდენ წითელ-არმიისაკენ, რომელთან ერთად პროლეტარულ საქმეს თავ გამოდებით იცავდენ. ბურჟუაზიულ მთავრობას მხოლოდ ორი-სამი როტა მიემხრო, რომელიც შესდგებოდა სტუნდენტსა და ოფიცრებისაგან.

ლატვიის ბურჟუაზიულმა მთავრობამ შესძლო რეგულიარულ არმიის შექმნა მოკავშირეთა დახმარებით და არმიის რაოდენობა 1922 წელს უდრიდა 20.000 კ. წვევამდე მზადებას ლატვიაში დიდი ყურადღება ექცევა ამ მიმართულებით მუშაობს ორი ორგანიზაცია, რომლებიც სახელმწიფო სარჯზე ინახებიან: „ლატვიის შევარდნები“ და „ბოისკაუტები.“ პირველი მუშაობს მოზრდილებში, მეორე კი მცირე წლოვანთა შორის.

ნ.

# მომავალი ტერ-შეკრებისათვის.

**1902 წელში დაბადებულ ახალწვეულთა სწავლების ამოცანები ტერ ნაწილებში.**

ტერნაწილების ცვალებადი მადგენლობა, როგორც ვი- თ, ითვლება თავისი ნაწი- ს სიაში 5 წლის განმავლო- ში. ამ ხნის განმავლობაში გაიწვევენ შეკრებაზე: 1-ლ ლში—4 თვით, მეორე—2 ით, მესამე—მეოთხეში— თო თვით, ხოლო მეხუთე ლში ის მხოლოდ ითვლება წილში და შეკრებაზე არ იწ- ვევნ.

ამრიგად სამსახურის პირ- ლ წელში ოთხ თვიან სწავ- ებას მეტად დიდი მნიშვნე- ობა აქვს, ვინაიდან ამ პე- ოდში ცვალებად—არმიელი ნს ძირითად სამხედრო გა- ლებას, რომელიც საფუძვ- დ უნდა დაედოს შემდეგ ხედრო მომზადებას.

შემდეგ წლებში სწავლების გრძნობი შემცირება მიგვი- თებს, რომ მთავარი ყურად- ბა უნდა მივაქციოთ სწავლებას რველი წლის განმავლობაში. ური სწავლება შემდეგ ლებში—ეს იქნება უმთავრე- დ გასულის განმეორება და რველ წელში მიღებულ ცო- ნის გაფართოება. სანამ ჩვენ- შეკრებიდან ახალ შეკრე- მდი ცვალებად—არმიელთა რის მუშაობა ვერ არის სა- ოდ მოგვარებული, ჩვენ მო- ხდება მთელი საბრძოლო მზადება ავაგოდ განსაკუთ- ბით იმ პერიოდში, როცა ალებად არმიელები გაწვე- ლ იქნებიან ნაწილში, ე. ი. კრების დროს.

სამთვიანმა მომზადებამ ალებად—არმიელის პირვე- ი წლის სამსახურში უნდა გამოიმუშაოს მასში სრულიად დამოუკიდებელი ცალკე მეომარი—სპეციალისტი და მომზადებული ათეულისა და ოცეულის შემადგენლობაში მოქმედებისათვის. მეოთხე თვე (საერთო შეკრება) ამოცანად ისახავს ასეულისა და მისი უფროსი ნაწილის საბრძოლო მომზადებას.

ამრიგად, პირველი წლის სამსახურის ამოცანა იმდენად სერიოზულია, რომ მოითხოვს განსაკუთრებულ ენერგიას თვითეული მეომარის მხრივ.

ამ წელში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში პირველად მიდის შეკრება.

რიგშია 1902 წელი. აქედან იწყება ახალი ხანა ჩვენი ტერნაწილების ცხოვრებაში. ამ წელში დაბადებულთა სწავლების წარმატებისაგან დამოკიდებულია ეროვნულ ნაწილების შემდეგი საბრძოლო მომზადება.

ყველაფერი ეს მიგვითითებს იმაზე, რომ ახალწვეულთა სწავლება აგებულ უნდა იქნას კარგად აწონილ და მოფიქრებულ გეგმაზე. მაგრამ ეს ცოტაა. ყოველი მეომარი უნდა გაიმსჭვალოს მტკიცე შეგნებით, რომ ამ მოკლე დროში საჭიროა მიიღოს რაც შეიძლება მეტი ცოდნა სამხედრო საქმეში. ხოლო ეს შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ რომ მეომრები გამოიჩენენ სურვილს, სიმტკიცეს და ენერგიას სამხედრო საქმის შესწავლაში.

პ.

# პარტიული ცხოვრება.

## მეტი ყურადღება პარტგანათლების საქმეს.

თითქმის ყოველ დღიურათ ერება ჩვენს გაზეთის ფურ- ლებზე პარტიული ცხოვრე- დან, სადაც ყოველთვის აღ- ნიშნულია უჯრედის ღია კრე- ბის და ახ. კომკავშირის მუშაო- ს ირგვლივ. ეს კარგია, მაგ- მ ამავე დროს არაფერი იწე- ება თვით პარტიის წევრის, ნდიდატის და საერთოდ უპა- ტიო მასის პოლიტიკურად მზადების შესახებ, რომელ- ც განსაკუთრებით ყურადღე- უნდა ექცეოდეს ნაწილის ლმძღვანელ ორგანოების მხ- ივ. ჩვენ, რასაკვირველია, ინტერესებს უპარტიო მასის ერთო კრებებზე დასწრება მათი აქტიური მონაწილე- ბა. მაგრამ უფრო საინტერე- ო და ნაყოფიერი იქნება ის ერთო კრებების მოწვევა და ში წ. არმიელების მონაწი- ეობა, როდესაც ასეთ კრე- ბში მონაწილეობას მიიღებს ოლიტიკურად მომზადებული მოლაშქრე.

ჩვენ ამის საშვალებები მო- ეპოვება. ყველა ნაწილები, ყობს პარტსკოლებს სადაც ყვე- ლა წ. არმიელის შემადგენლობას შეუძლია ჩაეწეროს და მიიღოს ერთგვარი პოლიტიკური მომზადება. აღნიშნული პარტსკოლის მუშაობის შესახებ, მგონი, ერთი წერილიც არ დაწერილა ნაწილის ცხოვრებიდან, რაც უსათუოდ დიდ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ აქ ცოტა ეჭვი შეგვდის იმაში, რომ ვაი თუ პარტსკოლა მარტო ქაღალდზე იყოს აღნიშნული და სინამდვილეში, კი მისი არსებობა სხვა გვარად არც კი გამოიხატებოდეს. თორემ რატომ ამდენხანს პარტკორები არაფერს სწერენ მის მუშაობის შესახებ?! და თუ არსებობს, მუშაობს, მაშასადამე მასზე უნდა იწერებოდეს კიდევაც.

აქვე შევეხებით ორი სიტყვით კანდიდატების პოლიტიკურად მომზადების საკითხს. ჩვენს დივიზიის მაშტაბში გვარიანი მოზრდილი რიცხვი გვყავს კანდიდატების და ამავე დროს ზოგი ნაწილები კი უმატებენ, ახალ კანდიდატებს. ყველა ეს ჩვენი გამტკიცების კარგი ნიშანია, მაგრამ როგორც ზევით ავღნიშნეთ, არ ვიცით თუ როგორ მდგომარეობაშია მათი პოლიტიკურათ მომზადების საქმე, რაც უმთავრესია ჩვენთვის. ამიტომ თუ ჩვენ გვინდა, რომ პოლიტიკურად მოვამზადოთ, როგორც პარტიის წევრი, კანდიდატი და უპარტიო მასა, მაშინ უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ ნაწილებში პარტსკოლების სათანადო მოწყობის საქმეს. ამ საქმის მოგვარება ევალება ნაწილის ბ. კ., მაგრამ ხელს არ შეუშლის თუ ყველა პარტიის წევრები მიიღებენ მონაწილეობას და დახმარებას გაუწევენ ბ. კ. ეს ყველა პარტწევრის პირდაპირი მოვალეობას შეადგენს.

ს. ლომიძე.

# ბანაკის ცხოვრება.

## ბანაკშიდაც საჭიროა წარმოდგენები.

პირველ საარტილერიო ლეგიონის კლუბში, საბანაკოდ გასვლამდე, იდგმებოდა სხვა და სხვა პიესები. უკანასკნელად დაიდგა „სურამის ციხე“. ამხ. არველაძის ხელმძღვანელობით. წარმოდგენას დაესწრო ლეგიონის მთელი შემადგენლობა. პიესამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე. ჩვენი ლეგიონი ეხლა უკვე საბანაკოთ იმყოფება. კლუბის უფროსი უნდა ცდილობდეს ასეთი შინაარსის წარმოდგენები ბანაკშიდაც გამართოს, რითაც საბანაკო ცხოვრებაში შეიტანს უფრო მეტ სიცოცხლეს და ამაღლდება წით. არმიელთა კულტურული, დონე.

კლუბის უფროსო! გაამართლე ჩვენი იმედები.

სამხკორი ს. ძიროვნელი.

## ნაკლს გამოსწორება სჭირია.

ქ. მ. დ. 1-ლი საარტილერიო ლეგიონი ამ ჟამად იმყოფება ბანაკათ, სადაც ყოველ-გვარი მუშაობა მიმდინარეობს სისტემატიურად.

ნაწილში მხოლოდ მოიკოჭლებს კმაყოფის საკითხი, რაც დიდ უხერხულობას იწვევს წითელ-არმიელთა მასაში.

არტ ლეგიონის მთელი შემადგენლობისათვის ჩაის წყალს ადუღებენ მხოლოდ ერთ ქვაბში, რაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილების ნახევარს, და ნაწილი წითელ-არმიელებისა რჩება უჩაიოთ. ამასთანავე ერთად, პურიც არ რიგდება თავის დროზე. პურს არიგებენ ხან 10 და ხან კი 12 საათზე. ამით წითელ არმიელები რჩებიან უსაუზმოთ და ყოველგვარ მეცადინეობის დროს ერთი-მეორეს შესჩივიან: ჯერ პური არ მიჭამიაო.

ლეგიონის მნევ! მოგვაქციეთ ყურადღება და გამოასწორეთ ეს ნაკლი.

სამხკორი: ს. ძიროვნელი.

## სანიმუშო პოლიტსაათი.

**მეხუთე ლეგიონი.**

მაისის შუა რიცხვებში ლეგიონის პირველი ათასეულის შენობაში პოლიტხელმა კალანდაძემ ჩაატარა სანიმუშო პოლიტსაათი. პოლიტსაათს დაესწრენ თითქმის მთელი ლეგიონის შემადგენლობა, პოლიტხელები, მეთაურები და სხვა.

პოლიტსაათის შინაარსი ასეთი იყო:

კაპიტალიზმის განვითარება და მუშების მდგომარეობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში.

სანიმუშო პოლიტსაათი ჩატარებული იქნა ამხანაგის მიერ კომპლექსიური მეთოდით, რამაც თითქმის საათნახევარი გასტანა.

შემდეგ წითელ არმიელები დათხოვნილი იქნენ დარბაზიდან და გაიმართა კამათი, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს მეთაურებმაც.

საერთოდ საათი მეტად დაკვირვებულად იქნა ჩატარებული. თუ რაიმე გადახვევა და დეფექტები იყვენ მასში, ყველაზე მიუთითებდენ ოპონენტები.

სამხკორი მ—სკი.

## მოუვლელით წერა-კითხვის მცოდნე შიკრიკი.

მეხუთე ლეგიონის მესამე ათასეულის ჯგუფს ყავს ერთი შიკრიკი, რომელიც არის წერა-კითხვის არა მცოდნე და რომელიც სრულიად განთავისუფლებულია დღიური და სამორიგეო განწესებისაგან.

შიკრიკი ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, როგორც საჭიროა. მიდის ფოსტაში დილის 9 საათზე და ბრუნდება ძალიან გვიან. ფოსტაში ის ვერ ახერხებს წერილების მიღებას და ხშირად ჩვენი წერილები სხვას მიაქვს.

თუ ნაწილიდან გავატანთ წერილებს, ის აუცილებლად დაკარგავს ან გზაზე გადაყრის წერილებს.

ამითი წითელ არმიელები ვერ გებულობენ თავიანთ სოფლის და ოჯახის ამბებს. ვსთხოვთ ჩვენი ლეგიონის მესვეურებს, მიაქციონ ამ გარემოებას სათანადო ყურადღება და გამოგვიცვალონ შიკრიკი.

სამხკორი ახალი მოსწავლე.

## პარტკორო!

**რატომ არაფერს არ სწერ ნაწილებში პარტ მუშაობის მსვლელობაზე?**

**მოიწერეთ საბანაკოთ გასვლის შემდეგ, რაში გამოიხატება თქვენი საქმიანობა და როგორია თქვენი კავშირი ადგ. პარტ-ორგანიზაციებთან?**

**საბანაკოთ გასვლის შემდეგ ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყო შენი გაზეთი და არ გასწყვიტო კავშირი მასთან.**

## კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა მოისუსტებს.

**ტფილისის სამხედრო ჰოსპიტალი.**

ამ ბოლო ხანებში სამხედრო ჰოსპიტალში საგრძნობლად მოიმატა წ. არ. ავადმყოფთა რიცხვმა. ამათში 60 პროც. არის მსუბუქი ავადმყოფი, რომელთაც შეუძლიათ გონებრივი მეცადინეობა.

თითქმის ერთი თვე მიდის რაც პოლიტსაათი და საუბრები არ ყოფილა მით უმეტეს ჰოსპიტალს საამისოთ კარგი ძალა ჰყავს ექიმთა პერსონალის და პოლიტხელების სახით.

ჰოსპიტალი იყოფა ავადმყოფობის და მიხედვით სხვადასხვა კორპუსებათ და პალატებათ. აქ არის: ქირურგიული, ვენერიული, შინაგან ავადმყოფობის, ყურის და თვალის, საცდელი, გადამდებ სახადების და სხვა კორპუსები. გარდა გადამდებ სახადების და საცდელ კორპუსისა ყველგან შეიძლება მეცადინეობა, რადგან უმრავლესობა არ არიან ისეთი ავადმყოფები, რომ ვერ შესძლონ და ან მავნებელი იყოს მათთან საუბარი.

მით უმეტეს ეს მეცადინეობა სავალდებულო უნდა იყოს, რადგან წითელი არმიელი თავის წითელ ყაზარმას სცდილდება ორი-სამი თვით. უმთავრესად ყურადსაღებია ვენერიული კორპუსი, სადაც ავადმყოფთა რიცხვი უდრის 60 კაცს. ამ კორპუსში ავადმყოფები სრულიად ჯანსაღათ უნდა ჩაითვალონ გონებრივ მეცადინეობისათვის, მცირე ხნის წამლობის შემდეგ.

არიან ავადმყოფები, რომლებიც ექვს თვესაც რჩებიან საავადმყოფოში. ეს დრო საკმაოა იმისთვის, რომ არმიელი ჩამორჩეს მეცადინეობაში ამხანაგებს. აქ კი ბევრი რამის გაკეთება შეიძლება ამ ხნის განმავლობაში.

კარგი იქნება ჰოსპიტლის სამხედრო კომისარი, გამოფხიზლდებოდეს და სამ-ოთხ თვეს აქ ტყუილად არ დაგვაკარგვიებს. ის კვირაში ორჯერ მაინც გვესაუბროს.

სამხკორი ჯლანკი.

## განცვიფრებაში მოვიდენ.

**საარტილერიო ლეგიონი.**

ხსენებულ ლეგიონში თანდათან მოდიან ახალწვეულები, რომლებსაც მეთაურებიდან დაწყებული მთელი ლეგიონის შემადგენლობა განსაკუთრებული ყურადღებით ხვდებიან. ახალწვეულების უმრავლესობა აღმოსავლეთ საქართველოდან არიან და უმეტეს ნაწილს წერა-კითხვის არა გაეგება რა.

— ჩვენ ვნახეთ აქედან დაბრუნებული „ჩვენი სოფლელი არმიელები, რომლებმაც დაგვაიმედეს, რომ იქ რომ ჩახვალთ წერა-კითხვას გასწავლიანო.

ამაში უფრო ნათლად დარწმუნდენ ისინი, როდესაც ნაწილში ნახეს ზოგიერთებმა მაფივე სოფლელი წერა-კითხვის უცოდინარები, რომლებმაც იმდენად შეისწავლეს წერა-კითხვა, რომ წერილებსაც კი უგზავნიან თავის მშობლებს.

უფრო განცვიფრებაში მოვიდენ ისინი, როდესაც გაიგეს, რომ ეს ამხანაგები გაზეთებშიც კი სწერენ წერილებს.

ყველას უნდათ ჩქარა შეისწავლონ წერა-კითხვა და შეიძინონ საჭირო ცოდნა.

ამ ჟამად ჩვენი ნაწილი შეუდგა, საბანაკო პერიოდის კულტ-განმანათლებელ მუშაობისათვის მზადებას. ჩვენი უმთავრესი მიზანია ამ მუშაობის მთელი სიმძიმე გადატანილ იქნას ახალწვეულებში.

სამხკორი ტ. ხეველი.

## გულგრილობას ვერ მოვითმენთ.

**მეხუთე ლეგიონის მე-6 ე ასეული.**

პირველ ხანებში ჩვენს ასეულში კარგად მიდიოდა საქმე. განსაკუთრებით წვევამდელებში კულტურული ხასიათის მუშაობას დიდი ყურადღება ექცეოდა. გვქონდა დრამატიული წრე, ყოველ კვირეული კედლის გაზეთი და სხვა, რომლებსაც ენერგიულად ხელმძღვანელობდა ოცეულის მეთაური მამფორია.

კარგა ხანია ეს ამხანაგი გადაყვანილი იქნა ლეგიონში და მას შემდეგ აღნიშნული მუშაობა ძლიერ შესუსტდა.

ავირჩიეთ წვევამდელებიდან ერთი ამხანაგი, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელებია კედლის გაზეთისა და საერთოდ კულტ-მუშაობისათვის, მაგრამ საუბე-

დუროდ ეს ამხანაგი ძლიერ გულგრილად ეკიდება თავის მოვალეობას. ჩვენგან გადაცემულ წერილებს კედლის გაზეთისათვის ნაკლებ ყურადღებას აქცევს. გაზეთი არ გამოდის რეგულიარულად და არც დრამატიული წრის მუშაობა გამოაცხოველა.

როდესაც მივმართავთ, თუ რატომ ეკიდება ასე გულგრილად თავის მოვალეობას, მოგვიგებს: მე სრულიად არ მინდოდა აქ მოსვლაო. თავს ამით იმართლებს.

ასეთი სიტყვები დაუშვებელია წითელი არმიაში მომუშავესაგან.

ჩამოაშორეთ ის ამ საქმეს და მიუჩინეთ ისეთი, რომელიც მას გამოაფხიზლებს!

სამხკორი ე. კიკალიშვილი.

## დროა მიექცეს ყურადღება.

(1-ლი ლეგიონი).

ჩვენ ლეგიონს აქვს ერთი საავათმყოფო—ქსენონი. საავათმყოფო არის პატარა, მხოლოთ ავათმყოფთა რიცხვი კი გაიზარდა მასში, მას შემდეგ, რაც ქ. დივიზიების ლაზარეთი შეუერთეს გარნიზონის სამხედრო ჰოსპიტალს.

ხსენებულ საავათმყოფოში მსახურებს სამი წითელ არმიელი სანიტრებათ, რომლებიც ვერ აუდიან ავათმყოფების მოვლას.

ბევრჯერ გაიგონებთ მათ საყვედურს; რა ვქნათ, ჩვენ სამი კაცი ვერ აუდივართ ავათმყოფების მოვლას, ვითხოვეთ რომ მოემატებიათ სანიტრები, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია. გაზეთებშიდაც დაიწერა ამის შესახებ, მაგრამ არც ამითი გაიოვიდა არაფერი და სხ.

საჭიროა ეხლა მაინც მიაქციონ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება და გაადიდონ სანიტართა რიცხვი.

თორემ სამი სანიტარი ვერ აკმაყოფილებს ავათმყოფთა მოთხოვნილებებს.

ქვიტირელი ტარტაროზი.

## შეიძინეთ სანაგვე ყუთი.

მეხუთე ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის სამზარეულოს გვერდით მოთავსებულია აგრეთვე მეორე არტლეგიონის სამზარეულო, რომლიდანაც აუარება ნაგავი გამოაქვთ და იქვე ჰყრიან. ნუ თუ ასე გაუჭირდა ლეგიონს ერთი სანაგვე ყუთის შეძენა. საჭიროა სამნეო ნაწილის უფროსმა ექიმებმა ყურადღება მიაქციონ ამ მოვლენას და გვიხსნან ათასგვარ გადამდებ სნეულებათგან, რომლებიც შესაძლებელია გამოიწვიოს სამზარეულოს გვერდით დაგროვილმა სიბინძურემ.

სამხკორი გ. ა.

## საქართველოს ცაში.

— **უმაღლეს სამეურნეო საბჭოს** (ს. მ. უ. ს.) გადაეცა თელავში არსებული აბრეშუმის საქსოვი ქარხანა.

— **მიღებულ იქნა დებულების** გეგმა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის საკურორტო სამმართველოს შესახებ.

— **სასამართლო სოფლად.** ოზურგეთის სამ. აღმასკომის შუამდგომლობის თანახმათ დადგენილ იქნა სოფ. ნაგომარში დაარსდეს სახალხო სასამართლო.

— **ცენტრალურ სტატისტ** სამმართველოს მმართველათ დაინიშნა ამხ. არჩ. რუხაძე.

## ამბები სოფლებიდან.

**წვიმები რაჭაში.** ქვემო რაჭიდან ჩამოსულთა სიტყვით იქ ამ უკანასკნელ დღეებში მოვიდა დიდი წვიმები, რაც ძლიერ კარგ გავლენას მოახდენს მოსავალზე.

**აბაშის ელსადგური.** სენაკის სამაღმასკომმა გადაწყვიტა ახლო ხანში ისევ განაახლოს მუშაობა აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაშენებლათ.

**გლეხების არტელი.** სოფ. ბუგეულში (რაჭა) შედგა უმუშევარ გლეხთა არტელი. არტელმა უკვე გაგზავნა თავის წევრები საზოგადოებრივ სამუშაოებზე.

**გზის შეკეთება.** სენაკის აღმასკომს განზრახული აქვს შეაკეთოს სენაკ-ნაქალაქევის გზა ტკეცილი და ხიდები.

**ვენახების დაზარალება** დიდი და სუსხიანი ზამთრების გამო ქვემო რაჭაში (ტოლა-ხვანჭკარის რაიონი) ვენახები თითქმის ერთიანათ ახმა. ამის გამო გლეხები დიდ საგონებელში არიან ჩავარდნილი.

## ახალი ამბები.

— წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებამ მოაწყო სანიტარულ განათლების გამოფენა.

— **საზოგადოებათა გაერთიანება.** ამჟამად სწარმოებს წინასწარი მუშაობა საჰაერო საზოგადოებისა და ქიმიის მოყვარ. საზოგადოებების გაერთიანების მიზნით საქართველოს მასშტაბით. საზოგადოებას დაერქმევა „ავიოქიმ“.ი.

— **საჰაერო საზოგადოებას** ამჟამად საქართველოში ყავს 47 ათასი წევრი. 1925 წლისთვის ყავდა 37 ათასი.

— **ახალი ჰაეროპლანი.** ამ დღეებში საჰაერო საზოგადოება მიიღებს აეროპლან „წითელ აფხაზეთს“

— **წიგნები მებამბეობაზე.** ა. კ. მებამბეობის კომიტეტმა გამოსცა წიგნები მებამბეობაზე ბამბის მეურნეთა სახელმძღვანელოთ.

— **ტელეფონის ქსელები.** ფ.-ტელ. კომისარიატმა დაადგინა გაიყვანოს ტელეფონის ქსელები შემდეგი მიმართულებით: ტფილისი—სამტრედია—ბათუმი, სამტრედია—სოხუმი, ტფილისი—ქუთაისი, ტფილისი—ბორჯომი, ქუთაისი—აბასთუმანი და სხვა.

— **ექიმები სოფლათ.** ჯანსახკომს ამჟამად გაგზავნილი ყავს თავის ხარჯზე სოფლებში 50 ექიმი.

— **ცეკავშირი ამჟამად** აერთიანებს 109 სასოფლო-მომხმარებელ კოოპერატივს 349 დუქნით და 60.138 წევრით.

## ხელოვნება

— **აკაკის საფლავი** ტფ. ქალაქის აღმასკომმა დანიშნა კომისია ინჟ. ქურდიანის ხელმძღვანელობით აკაკის საფლავის დაცვის მიზნით,

— **მოთხრობათა კრებული.** ახლო ხანში გამოვა ს. შავგულიძის მოთხრობების კრებული „წითელი სანათით“.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**ჰაეროპლანების მართვა რადიოს საშუალებით.**

რადიოს გამოყენება უმფრინაო ჰაეროპლანის მიმართ ძლიერ რთული ამოცანაა. ამ ჟამად უკვე არსებობს ისეთი ავტომატი—ჰაეროპლანების მთელი რიგი, რომლებსაც შეუძლიათ უმფრინაოთ—რადიო ტალღების საშუალებით მიმართულების შეცვლა და აფრენ-დაფრენა.

ძნელია წარმოიდგინო როგორ ხდება ასეთი ჰაეროპლანების მოძრაობა, თუ არ იცი თუ რას შვება, როგორ იქცევა და რას აკეთებს მფრინავი ჰაეროპლანზე—ფრენის დროს. სწორედ ყველა ის მოქმედება, რომელსაც ასრულებს მფრინავი ჰაეროპლანზე — უმფრინაო — რადიო ტალღების საშუალებით მოძრავ ჰაეროპლანში სრულდებიან—ამავე რადიო ტალღების მიერ.

ჰაეროპლანზე გაკეთებულია მავთულების ქსელისაგან დამზადებული ანტენა. მავთულები გაჭიმულია ჰაეროპლანის მთელი კორპუსის სიგრძეზე.

ანტენა უერთდება ერთგვარ მიმღებ აპარატს, რომელზედაც კატოდის სანათურია მოთავსებული.

ვსთქვათ რომ ერთ ერთ რომელიმე ჰაეროდრომიდან ჰაეროპლანის მოძრაობას ჰაერში მიმართავენ რადიო ტალღების საშუალებით. რადიო სადგურის მიერ გაშვებული რადიო ტალღები გადაჰკვეთენ ჰაეროპლანზე მოთავსებულ ანტენას და მიმღებში აღძრავენ ელექტრო ნაკადს.

შემდეგ ეს ნაკადი გაივლის იქვე მოთავსებულ ნაკადის გამაძლიერებელში და შემდეგ სხვა და სხვა აპარატებში გავლით და კომბინაციებით ის შემდეგ უფრო ძლიერ ენერგიათ იქცევა. ელექტრო ენერგიის ეს ახალი მარაგი მოქმედებს ძლიერ ელექტრო ანდამატურ ჩასაკეტზე, რომელიც მართავს ჰაეროპლანის მოტორს.

აფრენის წინ, როდესაც მოტორი უკვე ამუშავებულია ჰაეროპლანს აკავებენ მექანიკოსები. სათანადო ნიშნის—სიგნალის მიცემის შემდეგ, მექანიკოსები გაუშვებენ აპარატს, რომელიც პირველ ხანებში მიგორავს აეროდრომზე, ხოლო როდესაც სიჩქარე განვითარდება საკმაოდ ის ერთბაშად სწყდება დედა მიწის ზედაპირიდან.

მაშინ რადიო სადგური უშვებს იმპულსების მთელ სერიას, ვსთქვათ სამ წერტილად. ეს იმპულსები შეხვდებიან თუ არა ჰაეროპლანის ანტენას, აღძრავენ ელექტრო ნაკადს, რომელიც თავის მხრივ გადადის ჰაეროპლანის მიმღებში და იქედან მოქმედებს შესაფერ ნაწილებზე. როგორი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ ასეთი წესით წამართულ ჰაეროპლანებს?

ამერიკაში დაწვრილებით არის განხილული საჰაერო ალყის პროექტი, რომელიც იწარმოებს რადიო--ჰაეროპლანების ესკადრილიების საშვალებით. ეს ჰაეროპლანები დატვირთული იქნებიან საჰაერო მხრჩოლავ ჰაერებით დატენილი ყუმბარებით. ასეთი ესკადრილიების რადიო ტალღებით მართვა არა მარტო მიწაზე მოთავსებულ რადიო სადგურის საშვალებით არის შესაძლებელი, არამედ განსაკუთრებულ ჰაეროპლანზე მოთავსებულ რადიო სადგურით, რომელიც თანახლავს რადიო-ჰაეროპლანების ესკადრილიას.

თითეული რადიო-ჰაეროპლანი ასრულებს იმ მოძრაობას და იღებს მიმართულებას, რომელიც სურს სადგურს.

საჭირო ადგილებში კი ჰყრის ძირს შხამიანი გაზით დატენილ ყუმბარებს.

ქიმიური ომის დროს, ასეთი ავტომატების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება ძლიერ გასჭირდება, რადგან თუ ჰაეროპლანის ჩამოგდება შეეცადე სულ ერთია ძირს ჩამოყრილ ყუმბარებს მაინც მოსწამლავ ადგილ მდებარეობას.

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** სამხედრო ბეგარის მოსახდელათ გამომიწვიეს 1924 წელში გაზაფხულზე, მხოლოდ მაშინ ოჯახური მდგომარეობის გამო დამტოვეს ტერ-დივიზიის ცვალებად შემადგენლობაში და ამავე წელს კი, შემოდგომაზე, პარტიულ მობილიზაციით. გთხოვთ მიპასუხოთ, მეთვლება თუ არა ის დრო, როდესაც ვითვლებოდი ცვალებად შემადგენლობაში და არ შევებულებაში?

წ. არ სიხარულიძე.

**პასუხი.** ტერ-ნაწილის ცვალებად შემადგენლობის სიაში მხოლოდ ყოფნა სამსახურად არ ჩაგეთვლებად. რაც შეეხება მეორე კითხვას— მასზე თქვენ შეგიძლიათ დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღოთ ლეგიონის უფროსის და სამხკომისაგან.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. როსნაძეს.** მოგვაწოდეთ კორესპონდენციები ხშირად.

**ამხ. ვინც არის?** თქვენი კორესპონდენცია „ესეც წითელი არმიელია“ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთში.

**ამხ. თალიკოს.** თქვენი წერილი „უთანხმოებას გამოიწვევს“ გადაეცა დივიზიის პოლიტ-განყოფილებას.

## ვინ სტყუის.

გაზეთ „წითელი არმიელის“ მე-№112-ში მოთავსებულია წერილი სამხკორ „წ. არ. მოყვარულის“ მიერ, შემდეგი სათაურით; „ნეტავ ვინ მიაქცევს ყურადღებას.?

ზემოხსენებული წერილის დამწერი ეხება თავის წერილში პირველი ლეგიონის სამნეო გუნდის წითელ-არმიელთა აუტანელ მდგომარეობაში ყოფნას, რაც გამოწვეულია უბინობის გამო. შემდეგ ის განაგრძობს: ლეგიონის ბანაკათ გასვლის შემდეგ სამნეო გუნდის საქმე სულ აირიაო. წითელ-არმიელთა შორის დიდ უკმაყოფილებს აქვს ადგილი უბინობის გამო, წითელ არმიელები ყაზარმიდან გადიყვანეს უვარგის შენობაში-გომურში, სადაც წინეთ ღორებს აცხოვრებდენ და ეტლებს ინახავდენო. ბინა არის ძლიერ ნესტიანი და სრულიად უვარგისია საცხოვრებლათ და სხვა.

წერილის დამწერი არა სწორი ფაქტებით გაზეთში სწერს სამნეო გუნდის ვითომდა აუტანელ მდგომარეობას.

წერილის ავტორი ვითომდა დიდ გულშემტკივრობას იჩენს წითელ არმიელებისადმი და გამოდის მათ დამცველ როლში.

სანამ ლეგიონი გავიდოდა საბანაკოთ, მანამდე სამნეო გუნდის წითელ-არმიელებისათვის ლეგიონის პასუხისმგებელ ამხ.-გების კომისიის მიერ გამონახულ იქნა ერთი შენობა, რომელიც სრულიად ვარგისი საცხოვრებლათ.

ამ შენობაში ღორებს არასოდეს არ აცხოვრებდენ. რაც შეეხება ეტლის შენახვას, ამას მართლაც ჰქონდა წინად ადგილი არც ერთი თქვენ მიერ აღნიშნული დეფექტები არ არის სწორი.

სამ. გუნდის წითელ-არმიელებში არავითარ არევ-დარევას ადგილი არ ჰქონია და არც აქვს. როგორც გეტყობათ მარტო თქვენ არ ხართ ჩვეული ასეთ „უვარგის შენობებში“ ცხოვრებას.

ამხ. სამხკორო! შემდეგისათვის გირჩევთ უმჯობესი იქნება სწეროთ პრესაში უტყუარი ფაქტები.

პირველი ლეგიონის სამხკომი

გ. ბაახია.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის მეორე კომჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ. პარტიაში მიღების შესახებ, შემდეგ ამხანაგებს:

კომპარტიის კანდიდატს ჯანგულაშვილი გიორგი დავითის-ძეს, პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ.

ახკომკავშირის წევრებს პარტიის კანდიდატებათ გადარიცხვის შესახებ: ხარებავა აპოლონ დავითის-ძეს, იმნაიშვილი სულეიმან ყეზეთის-ძეს და კოპალიანი ნიკოლოზ უფლისას-ძეს.

**უპარტიოებიდან**

ოგანეიშვილი ივანე გიორგის-ძეს, ნარიმანიძე გიორგი ვასილის-ძეს და შენგელია დორეთე სიმონის-ძეს.

თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცით ხსენებულ ამხანაგების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ქ. სურამი, ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის მეორე კომუჯრედის ბიურო.

პასუხისმგებელი მდივანი კ. სოხაძე.

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ფ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.